სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/23

ქ. თბილისი 1 მარტი 2023წ

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 და 48-ე მუხლების შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 1 მარტის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი დანართებთან ერთად, რომელიც ეხება უნივერსიტეტის ახალი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების- ემბლემისა და დროშის შემოღებას და მათი გამოყენების წესის დამტკიცებას. აგრეთვე, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ახალი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - მედიცინის ფაკულტეტის შექმნასა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირის არჩევის ვადებისა და ატესტაციის თაობაზე წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილებების შეტანას.

2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**